ბრძანება

ქ. თბილისი

N 1814-03
08/05/2020

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ზოგიერთი სტუდენტისთვის, სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლიანი ვადის გასვლის გამო, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული პირველი დანართის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის (ცვლილება: საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N35/ნ, 16.05.2016), უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 16 ივნისის №7 სხდომაზე დადგენილი „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის მარეგულირებელი წესის" მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტის, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანის 2020 წლის 30 აპრილის N4899-35 სამსახურებრივი ბარათის, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის მოადგილის, ირინა ბაზღაძის 2020 წლის 30 აპრილის N4903-35 სამსახურებრივი ბარათის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2020 წლის 1 მაისის N4916-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ამ ბრძანების დანართით განსაზღვრულ სტუდენტებს, სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლიანი ვადის გასვლის გამო შეუწყდეთ სტუდენტის სტატუსი;

2. ამ ბრძანების საფუძველზე სტატუსშეწყვეტილ პირებს მიეცეთ პირადი საქმის გატანის უფლება;

3. დაევალოს ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს, ამ ბრძანების დანართში მითითებული პირების პირადი საქმის ასლების შენახვა;

4. დაევალოს ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს, ამ ბრძანებით მიღებული გადაწყვეტილება ასახოს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა „არგუსში", განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ერთიანი სტუდენტური რეესტრის მონაცემთა ბაზასა და სწავლის საფასურის აღრიცხვის ელექტრონულ სისტემაში;

5. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ეს ბრძანება დანართის გარეშე და ამ ბრძანების გამოცემის თაობაზე ინფორმაცია განათავსოს უნივერსიტეტის ვებ.გვერდზე.

6. საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის მოადგილეს, ირინა ბაზღაძეს დაევალოს ამ ბრძანების დანართით განსაზღვრულ სტუდენტებს ინდივიდუალურად მიაწოდოს სტატუსის შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა „არგუსისა" და საუნივერსიტეტო ელ-ფოსტის მეშვეობით ასეთის არსებობის შემთხვევაში პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფით;

7. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, ეს ბრძანება გააცნოს ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს, შემოსავლების აღრიცხვისა და ანალიზის დეპარტამენტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.

გიგა ზედანია

რექტორი